ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №72

2011 წლის 17 ივნისი
ქ. ქობულეთი

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფუძნების შესახებ'' ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №142 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფუძნების შესახებ'' ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №142 განკარგულებით დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

2. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადმინისტრაციაში შედის:

ა) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი.

ბ) მთავარი ბუღალტერი.

გ) ბუღალტერი.

დ) მეთოდისტი.

ე) მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოებისა და კადრების აღრიცხვის საკითხებში.

ვ) იურისტი.

ზ) მნე.

3. მე-6 მუხლს დაემატოს 6^1 პუნქტი:

,,6^1. იურისტი:

ა) ახორციელებს დირექტორის სამართლებრივი აქტების მომზადებას;

ბ) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას;

გ) იცავს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, სასამართლო და სხვა ინსტანციებში;

დ) ახორციელებს ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს;

ე) იურისტი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე''.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**